ხელშეკრულება №01-08-15/351-2018-2

ქ. თბილისი 12 აპრილი 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“ მისი დირექტორის ლაშა სამხარაძის სახით (შემდგომში “შემსრულებელი”), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევაზე:
ა) საწარმოო (წლიური მოცულობით 100 სთ) და წინასაკვალიფიკაციო (წლიური მოცულობით 100 სთ) პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს დამკვეთის მიერ პრაქტიკაზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით „მშენებლობა“გაგზავნილი - მაქსიმუმ 10 სტუდენტი.
ბ) შემსრულებელი პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას შემკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;
გ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1.შემსრულებელი:
2.1.1.უწევს ამ ხელშეკრულების პ.1.-ით გათვალისწინებულ მომსახურებას შემსრულებლის ადგილ-სამყოფელის მიხედვით: ქ. თბილისი, აღმაშენებლის 140ა/პასტერის 7 ან/და საგამოცდო ლაბორატორიაში, სატექზედამხედველო ობიექტზე;
2.1.2.შესრულებული ვალდებულია უზრუნველყოს შემკვეთთან შეთანხმებული პრაქტიკის სილაბუ-სით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულება;
2.2. დამკვეთი:
2.2.1. შესრულებულს მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

3. მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1.ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება პრაქტიკა წარიმართება ანაზღაურების გარეშე წლი-ური მოცულობით 200 სთ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შესრულებული იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.
4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის სექტემბრამდე.

5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.
5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში - მიმართავენ სასამართლოს.
5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლიარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი: ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“ მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.140/პასტერის 7 ლ. სამხარაძე	დამკვეთი: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კოსტავას ქ. 77, ს/კ 211349192 ა. ფრანგიშვილი